№ 274

კვირა, 19 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 274

კვირა, 19 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე სოფრონის ასული კარიჭაშვილისა, დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი და ევგენი სოფრონის ძე ქუთათელაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამ ქრისტეშობისთვის 18-ს გარდაიცვალა

## ვლადიმერ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე,

შვილი პირველისა, გერი მეორისა და დისწული მესამისა

პანაშვიდი იქმნება საღამოს 8 საათზედ. მიცვალებულს გაასვენებენ სახლიდგან (ლაბორატორიის ქუჩა, № 25) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ორშაბათს, 20 ქრისტეშობისთვეს, დილის 10-ს საათზე და დასაფლავებულ იქნება კუკიის სასაფლაოზედ.

(1—206—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—65)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შაპკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა კოლეჟსკი სეკრეტარს ფასანაურის გზატკეცილის სახაზო უფროსს ნათიშვილს.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნის თანახმად სიღნაღის მაზრის მომრიგებელი-შუამავალი თავ. სიმონ. ანდრონიკაშვილი.

—

ფინანსთა სამინისტროს განცხადება.

სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის დადგენილების ძალით 1887 წ. გამოცემულ ქაღალდის ფულის 25 მან., 10 მან. და 5 მანეთიანის ხმარების უკანასკნელ ვადად დანიშნულია

**1899 წლის 31 დეკემბერი.**

ამ ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ქაღალდის ფული აღარ მიიღება სახელმწიფო გადასახადად და სავალდებულო აღარ იქმნება კერძო კაცთა შორის სახმარებლად.

ნიშნები ამ ქაღალდის ფულისა:

ქაღალდის კაი პირის სურათი ბაც მიხაკის ფერზედ ლურჯად სქლად არის დაბეჭდილი.

წელიწადი გამოცემისა აღნიშნული აქვს ამ ქაღალდის ფულს კაი პირზედ—ხუთ-მანეთიანს (გამოცემა 1892 წლისაზედ არა უგვიანესისა) ძირს და ოცდახუთ მანეთიანს (ყველა 1887 წლ. გამოცემაა)—შუაგულს ადგილას.

ქაღალდის ფულის მეორე პირზედ დაბეჭდილია გარდი გარდმო სურათი, რომლის შუაშიაც სახელმწიფო გერბია, მარცხნივ სხვილად დაბეჭდილი რიცხვი აქვს, ხოლო მარჯვნივ მანიფესტიდგან ამოწერილი სიტყვები, და დაბეჭდილია:

5 მანეთიანი—ლურჯის წამლით.
10 მანეთიანი—წითელის წამლით.
25 მანეთიანი—სოსანის წამლით.

—

ტფილისის გუბერნატორის-მიერ დამტკიცებული ხორცის ნიხრი

ქ. სიღნაღისათვის *)

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი ფილეი გირვანქა | | 8 | კაპ, |
| „ | 1-ლ ხარისხისა | 7 | „ |
| „ | მე-2 ხარისხისა | 6 | „ |
| ცხვრის ხორცი | 1-ლ ხარისხისა | 8 | „ |
| „ | მე-2 ხარისხისა | 7 | „ |
| თხის ხორცი | 1-ლ ხარისხისა | 7 | „ |
| „ | მე-2 ხარისხისა | 6 | „ |
| ღორის ხორცი ტყავით | | 8 | „ |
| „ | უტყაოდ, ქონით | 7 | „ |

—

ქ. თელავისათვის

| | | |
|---|---|---|
| ხარის ხორცი გირვანქა | 7 | კაპ. |
| ცხვრისა | 8 | „ |
| თხისა | 6 | „ |
| ღორისა ტყავით | 7 | „ |
| „ უტყავოდ | 6 | „ |

*) ვბეჭდავთ ქ. სიღნაღისა და თელავის ნიხრს, მთავარ-მართებლის ბრძანების თანახმად, ეს ნიხრი სავალდებულოა სიღნაღისა და თელავის ვაჭრებისათვის გადმობეჭდილია „კავკასიდგან".

რედ.

# ფელეტონი

## ქიზიყის ავ-კარგი

აპალთია გონებაც კუჭს შეაჭამონ.—აი რატომ ვერ იცლიან ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად.—ჩემი ნატვრა.—გიოს ჩივილი.—ღვინო წყალზე იაფად.—ოხოპინტრე მაწვალებელი.—„აღზ-დექ, მწერლობავ."

ეჰ, მეყო ამოდენა სიჩუმე, გული ველარ იტევს ნახულ-ნაგრძნობ-ნაფიქრს, დროა მეც კალამს მოვჰკიდო ხელი და ქვეყნის წინაშე წარსადგენად დრო-გამოშვებით ამოვყაჰო ქიზიყის ზნე-ყოფა-ცხოვრების გულის სიღრმე-სიგანედგან უანგარიშო ჭიჭვარამი და ერთი ციცქნა, მიკროსკოპიული სიკეთეც, თუ-კი ათასში ერთხელ ჰკუტა ვარსკვლავსავით გამოჩნდება სადმე, რომ საძრახი თავს ლაფის დასხმით მიწაში ჩაძვრეს და საქებ-ქებით ამაღლდეს.

„გული მიკვნესის, სული ჩემი მწარედ ლონდება", როდესაც ასი ათას მცხოვრებელთა სიღნაღის მაზრა-ქიზიყს ვითვალწინებ თავისის გონების ჯანღ-ბურუსიან სიბნელით. ქიზიყის ყოველი სოფელი სამიკიტნოებით და სხვა მრავალგვარ სავაჭროების დუქნებით არის გატენილი ყველის გუდასავით და საითაც-კი გაივლით, ყურებს გიჭედავენ ყვირილით მარტიროზა, კირაკუზა, ასატურა თუ ხერატურა: „ჰაი, აქეთ, აქეთ სამი ანტიკა ზალიფონცკის საქონელი იაფად და პირიანად!.." და როგორც დოს ბუზები, ისე ეხვევიან დუქნებს: ტეტია, ღეტია, მანდილოსანი ტარყაულა, შლაპოსანი გადარეულა, ერი, ბერი, მღვდელი, თავადი თუ აზნაური და ყიდულობენ და ყიდულობენ ყოველ დღე და ღამ და ყოველ წამ-წუთში წლის-წლობამდე საცმელ-სახურავს, საჭმელ-სასმელს თუ სხვა ათასგვარ ავეჯეულობას, მაგრამ რომ სადმე ქიზიყში (რომელიც საქართველოს პირველი კუთხეა სიმდიდრით) ან ჟურნალ-გაზეთ-წიგნები იყიდებოდეს და ან ვინმე ჰყიდულობდეს, ამას-კი, დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერსად შეჰხვდებით თითოოროლა მოსწავლე ბალღის სახელმძღვანელოს გარდა.

ღმერთო, რა შესაბრალისი, ჭკვით ღატაკი და ყოვლის უსამართლობა-ბიწიერებით უნდა იყოს აღსავსე ის ხალხი, რომელიც ყოველ დღე-ღამე, მზის ამოსვლიდგან მზის ჩასვლამდე და მზის ჩასვლიდგან მზის ამოსვლამდე სამიკიტნოებში ჰქეიფობს, ახალ-მოდის ჩასაცმელების ფიქრშია, წლის-წლობამდე კუჭსა და ტანს ემსახურება, იმათი ყურ-მოჭრილი ყმა-მონაა, და ადამიანის სულ-გულ-გონების ამამაღლებელ ჭკუა-გონებას კი არავითარ სასულდგმულო საზრდოს არ აძლევს და აპალთია გონებაც კუჭს შეაჭამონ!.. ეჰ, მე არა მწამს-რა იმ ქვეყნისა, სადაც კუჭის საზრდოს ბაზართან გონების საზრდოს ბაზრის ნოქრებიც არ უყვირიან მუშტრებს: ჰაი, აქეთ იაფად და პირიანად კაი წიგნები და ჟურნალ-გაზეთებიო!

არკი გეგონოთ, რომ ასი ათას მცხოვრებელთა უზარმაზარ ქიზიყში ოციოდე ჟურნალ-გაზეთი მაინც არ მოდიოდეს. ნურც ამას იფიქრებთ, რომ ქიზიყის ასი ათას მცხოვრებელთა ოციოდე გაზეთის მკითხველი, გარდა სამიოდესი, ევროპიელ გაზეთის მკითხველებსავით მტკნარი სულელები იყვნენ და გაზეთში რაც უფრო უმთავრესი რამ არის, იმის კითხვით თავს იხეთქავდნენ, არა, ბატონო, ჩვენ ისეთი სულელი მკითხველები არა გვყანან, ჩვენი ერთი ჯურა მკითხველი გაზეთისა იმ განყოფილებას ეცემა ხოლმე კელასავით, სადაც ნათქვამია: მავანს ესა და ეს ჩინი უწყალობესო, მავანი ამა და ამ ადგილს გადიყვანესო, მავანმა სამსახურს თავი დაანებაო და მავანს პანღური უჭირესო. ჩაიკითხავს ამ განყოფილებას რაღაც სიამოვნება-ოცნების ღიმილით და მიაგდებს გაზეთს დავიწყების არხივს. მეორე ჯურის მკითხველი გაზეთისა ნიკორა კამეჩის რქასავით მარტო ახალ ამბებს ამოჰკრავს აქა-იქ, სიამოვნებით გადიკითხავს ორჯერ-სამჯერ თუ სადმე ან ქალი მოუტაცნიათ, ან გულ-შემზარავი შფოთი-მკვლელობა მომხდარა, თუ არა და, უკმაყოფილოდ გადააგდებს გაზეთს. მესამე ჯურის მკითხველი ტელეგრამებში მხოლოდ იმას ეძიებს: ომი ხომ არსად მოჰხდება, რომ ადამიანთა ჟლეტის ამბებით თავი გავირთოოთ. მეოთხე ჯურის მკითხველი გაზეთის ყველა განყოფილებასა ჰსუნავს, მაგრამ არა-კი კითხულობს: „ქართული შრიფტი თვალებს აფუჭებს და ქართველებს არც მწერალი პოეტები გვივარგანანო".

კიდევ ბარაქალა იმათს ადამიანობას, რომ გაზეთის ამ განყოფილებათა წასაკითხად და დასასუნად მაინც იცლიან ზოგნი მამასისხლად გასესხებული ფულის სარგებლის სარგებლებში და ჯარიმა-„ნეუსტოიკებში" გლეხის წლის სარჩო-საბადებელს იწყავენ, იწონავენ, ითვლიან და იზომავენ ბზის ფასად, ზოგნი სოფლის-ჭამია მოხელეებს და გავლენიან კაცუნებს სალხინო მეჯლიშებს უმართავენ, რომ უფრო უშიშრად ვწველოთ, ვკრიჭოთ და ვატყაოთ ბეჩავი გლეხ-კაცობაო, ზოგნი ვალ-ვახჩით ნასყიდ ახალ-მოდის ტანსაცმელებს იკერავენ ფაცი-ფუცით, რომ უცბად მეორე მოდამ არ მოგვასწროს და ჩვენზედ წინ სხვამ არ შეიკეროსო, და ვინ მოსთვლის კიდევ იმათს საქმეს საეშმაკოს და სივერაგოს. აი რატომ ვერ იცლიან ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად...

ოხ, რამდენჯერ მინატრია, ძნელად საპოვნელო მკითხველო, არაკული უჩინ-მაჩინის ქუდი, რომ ყველა თავლაფ-დასასხმელს, საჯოჯოხეთო ცოდვილს სულთამხუთავსავით გამოვცხადებოდე და ცის რისხვასავით გულ-გამეხებული ოტელოსებურად ნაძძინარევი დამეხრჩო; მაგრამ მეორე გულით მითქვამს მაშინვე: არა, ამას რომელი უჩინ-მაჩინის ქუდი სჯობდა, თუ კი მომჯადოებელ მჭევრ-მეტყველებას დემოსთენ-ციცერონისას, შხამგესლიან ენის ძლიერებას შექსპირისას და გამანადგურებელ დაცინვის ნიჭს მოლიერისას მიწყალობებდა გამჩენი, რომ ყველას ჩემგან ფოტოგრაფიულად დასურათხატებული თავისი პროტო-

ტფილისი, 18 დეკემბერი

ეხლანდელი სოფელი უპატრონოდ, უმწეოდაა დარჩენილი. ღვთის ანაბარად დატოვებულს, გზა-კვალი აერია და თავ-ბედისა ველარა გაუგია-რა. მაცქერალი, მაყურებელი ბევრი ჰყავს სოფელსა და ყველა, დიდი და პატარა, მხოლოდ ერთს სიტყვას ასმენს: მოიტათ. ამ მუდმივის გალებით, გაცემით, გამოტანით ნიათი ისე გამოელია, რომ ხშირად სოფლელი გონიერ არსების სახესა ჰკარგავს და უფრო პირუტყვს ემსგავსება, ვიდრე ადამიანს. ხუმრობა ხომ არ არის, სულ მოიტა, მოიტა; მიეცი, დაუბრუნე როდის-ღა უნდა იყოს?

ამ ნაირად დღევანდელ სოფელს მარტო მოვალეობა შერჩა· თანხად და ამ უცნაურის თანხით უნდა იწალმართოს და იადამიანოს. ყველა ადვილად მიხვდება, რომ ადამიანი ასეთის თანხით შორს ვერ წავა და მალე ჩამოჰქინდრავს თავსა დასვებულ მამლაყინწასავით, რაიც უკვე მოხდა. უფლება ეხლანდელი სოფლელისა დაიჩრდილა, თითქოს ყველას მიავიწყდა, თვითონაც ულაჯობის გამო ვერ მოუთხოვნია იგი უფლება, ხმა ველარ ამოუღია და არის ასე საცოდავად დასაკლავად გამზადებულ ზვარაკსავით. შორიდან, ერთის შეხედვით, სოფლელს თითქო ბევრი პატრონი და მზრუნველი ჰყავს. მართლა მათი სიმრავლე საოცარია. კანონითაც დავალებულნი არიან იზრუნონ და უპატრონონ სოფლელს, მაგრამ ნამდვილად-კი გულშემატკივარი ფარნითაა საძებნელი.

შეუძლებელია, ადამიანს, სოფლელია, თუ მოქალაქე, მარტო მოვალეობა ჰქონდეს და უფლება კი არაფრისა. ასეთს ურიგობასა და უწყალობას ვერც ერთი კეთილად მოწყობილი მთავრობა ვერ მოითმენს. სოფლელს კანონით უხვადა აქვს დათმობილი უფლება, მარტო ის რათა ჰღირს, რომ ეხლანდელს სოფელს თვითმართველობა აქვს მინიჭებული. შინაურ საქმეში სოფლელი, კანონით სრული გამგებელია თავისის თავისა; კანონითვე დაცული მისი პირადი ღირსება და ქონებრივი უფლება. ეს ყველა ასეა, მაგრამ სინამდვილეში სოფლელის უფლება მაინც შეჰლახა, დასთრგუნა და დედამიწასთან გაასწორა. ვინც გულმოდგინებით თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის დაქვეითებულ სოფლის ბედსა, იმან კარგად იცის, სადამდის მივიდა ასეთი აბუჩად აგდება და გაუქმება სოფლელის უფლებისა. ძნელად თუ ვინმე სავსებით აღნუსხავს—რამდენი უკანონობა, უსამართლობა, უფლების დარღვევა, უწესოება, ძალმომრეობა, შევიწება პირადის ღირსებისა, ქონების გატაცება და დამცირება ხდება ეხლანდელს სოფელში! ამის დასამტკიცებლად მარტო ჩვენი ადგილობრივ გაზეთების ნაამბობიცა კმარა. რამდენია კიდევ იმისთანა „საქმენი საგმიროსნი“, რომლის აღნუსხვაც გაზეთს უძნელდება. ჩვენა გვსურს დღეს ერთი ორი მაგალითი გლეხის უმწეობისა წარმოუდგინოთ მკითხველსა. სოფლელს რომ თავი ჰქონდეს, შეგნება და განათლება ხელს უწყობდეს, ან ნამდვილი ერთგული და რიგიანი პატრონი ჰყავდეს, ეს აღარ იქნებოდა, მაგრამ რადგან არც ერთია და არც მეორე, სოფლელის უფლება ირღვევა და კიდევ დიდს ხანს გასტანს ასე, ვიდრე საქმეს არ მოევლება საფუძვლიანად, ვიდრე ან თვით გლეხი, ან განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, ან მთავრობის მოხელენი მედგარ დარაჯად არ დაუდგებიან უფლება აყრილს მკვიდრსა.

ერთს მაზრაში გლეხებმა შეიძინეს ყიდვით მამული თავისის მებატონისაგან. რადგან ფული არა ჰქონდათ, მთავრობამ ასესხა იმ პირობით, რომ წვრილ-წვრილად იხადონ ვალი სარგებლის ძლევით. ნასყიდ მამულზედ კანონიერი საბუთები მიიღეს. მამული „უსტავნი გრამატებით“ ჰქონდათ წინად მიზომილი და საგლეხო კანონი ისეთია, რომ დედამიწა რო გადაბრუნდეს, საკომლო ვერ ჩამოერთმევა, თუნდა მებატონემ სხვისი და არა თავისი მამული მიუზომოს „საკომლოში“, შესყიდვის შემდეგ მიეცათ კანონიერად შედგენილი ნასყიდობის სიგელები, ამ საბუთების ძალაც ისეთია, რომ მათი გაუქმება შეუძლებელია. აქაც თუ ვინმე დაზარალდა, უნდა ედავოს გამყიდველს და არა გლეხსა, რომელიც არხეინად უნდა ჰფლობდეს ნასყიდ მამულსა და აძლიოს ხაზინას წლიური გადასახადი ვალის მოწყვეტამდე. კანონი და გლეხის უფლება ამ შემთხვევაში ვგონებთ ცხადია.

გლეხების მებატონეს ედავებოდა მამულს გარეშე კაცი და ბოლოს კიდეც მოიგო მამული, ჩაიბარა და გლეხები, ეს კანონიერად აღიარებულნი მესაკუთრენი, გამორეკა. შერჩათ მხოლოდ ხელში ქაღალდები: ნასყიდობის სიგელი და მფლობელობაში შესვლის ფურცელნი. ამას გარდა მთავრობას წესიერად აძლევენ გადასახადს იმ მამულისას, რომელიც კაი ხანია ჩამოერთვათ.

განა ეს ამბავი შესაძლებელი იქნებოდა, რომ გლეხს პატრონი ჰყავდეს? საკომლოში მოზომილი მამული დაიხსნა მთავრობის დახმარებით, მიიღო კანონიერი საბუთის ქაღალდები, მთავრობას პირიანად აძლევდე გარდასახადს ვალის მოსაშორებლად და მაინც ხელიდგან გამოგგლიჯონ მამული, სად გაგონილა და მომხდარა? თუ გარეშე კაცს, ანუ დაწესებულებას რაიმე უფლება აქვს გლეხების მიერ შეძენილ მამულზედ, ზარალის აღდგენა უნდა მოსთხოვოს მას, ვინც უკანონოდ სხვისი მამული მისცა საკომლოდ გლეხობას. ასეთია წესი კანონისა და სხვა წესი არ იცის ჩვენმა საგლეხო კანონმა.

მეორე მაგალითი. გლეხს უწერია გრამატაში სამი ნაჭერი მიწა: ბახჩა, ბოსტანი და საწისქვილე ადგილი. ერთ მოქალაქეს მაჰყიდა წისქვილი. ალბად მოქალაქემ იფიქრა, რომ წისქვილს ბოსტანი და ბაღჩაც უნდაო და მოსამართლეს მიჰმართა, ამა და ამ გლეხმა ჩემი მფლობელობა დაარღვია ორი ნაჭერი მიწისა და გთხოვ დარღვეულ მფლობელობის აღდგენასაო. მოსამართლემაც შეუსრულა თხოვნა. გლეხმა ოლქის სასამართლოში წარადგინა მომრიგებელი შუამავლის მოწმობა, რომ მოქალაქემ იყიდა მხოლოდ წისქვილი, რომ ბოსტანი და ბახჩა ჩემიაო. თვით მამრიგებელი შუამავალი ვერ შევიდა განხილვაში, რადგან ეს საქმე მას არ ექვემდებარება—დავა მოქალაქესა და გლეხის შორის არის ატეხილი და არა მებატონესა და გლეხ შორის. ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა საბუთი მომრიგებელ შუამავლისა, საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვსო. გლეხმა კასსაცია ვერ გადიტანა პალატაში, რადგან ამისათვის საჭირო შეძლება არა აქვს. კასსაციის დასაწერად სამი თუმანი მოსთხოვეს, ოთხი თუმანიც ხარჯი უნდაო. ამ გვარად ერთ ხანად მოქალაქეს დარჩება ბოსტანიცა და ბახჩაც.

მესამე მაგალითი. ბანი ქ—ძე გაზეთ „კავკასში“ მოგვითხრობს, რომ შირაქში თუშებს საძოვარი ალაგი მოუჭრეს და ასი კომლი ოცდაჩვიდმეტი ათასი ცხვრის სულით უსაძოვროდ დაილუპებაო. იგივე ქ—ძე იმასაც გვიამბობს, რომ უხსოვარი დროიდან თუშები შირაქში ცხვარს აძოვებდნენ და ამითი ირჩენენ თავსაო, რადგან სახნავი მამული არა აქვთო, რომ შირაქი მათის სისხლითაა მორწყული, რომ როგორც ქართველი მეფენი, აგრეთვე რუსის მთავრობა თუშებს არ უშლიდნენ შირაქით სარგებლობას და ყოველთვის სწამდათ მათი შეურყეველი უფლებაო.

მაგალითების მოყვანა იმდენი შეგვიძლიან, რომ მთელი წიგნი ვერ დაიტევს და მისთვის საჭიროდ არა ვთვლით მათს დასახელებას. საგნის გამოსარკვევად და მაზედ შუქის მისაყენებლად ესეც საკმარისია.

ყველა ადვილად მიხვდება, რომ ასე ცხოვრება სოფლისა შეუძლებელია. დღევანდელ სოფლელს, როგორც მაგალითები გვარწმუნებს, არ შეუძლიან დაიცვას თავისი თავი, აღადგინოს თვისი უფლება. მას გარედან უნდა დახმარება, ხელის გაწვდენა და შემწეობის აღმოჩენა, ხოლო საკითხავი ისაა, ვის უნდა დაეკისროს ეს დიდი და წმინდა მოვალეობა.

ამ საგანს დიდი ხანი უტრიალა გარს რუსეთის მწერლობამაც. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თუ სოფლად სამართალი ირღვევა, ფეხ ქვეშ ილახება, რაღამ უნდა აცოცხლოს სოფელი? სულით-ხორცამდე გაიხრწნება და დაილუპება. სამართლიანობას ზრდა და ლალიაობა ეჭირვება, როგორც ბავშვსა და ნორჩსა, ვიდრე ფეხს მოიმაგრებს და გამაგრდება. რაკი სამართლიანობის გრძნობა მაგრად დამკვიდრდება ერის გონებაში, მაშინ საჭირო აღარც კია სხვისი ან მოხელეს დახმარება. სამართლიანობით და კანონიერობით გამსჭვალული კაცი სხვის დაუხმარებლადაც გაიკვლევს ცხოვრების ეკლიან გზას.

ხერხად და წამლად მწერლობამ უჩვენა მთავრობას „საგლეხო ვექილების“ შემოღება. ესენი მოვალენი უნდა ყოფილიყვნენ უსასყიდლოდ იქ გაჩენილიყვნენ, სადაც სოფლელს გაუჭირდებოდა და სამართალი, კანონი და მისი უფლება დაირღვეოდა. საგლეხო ვექილების შემოღება ბევრს არ ეპ·შნიკა. ეგენიც ისეთივე უსულ-გულო მოხელენი შეიქმნებიანო, როგორც სხვანიო. მოხელეების გამრავლებას კი არა, შემცირებას უნდა ვეცადნეთო, ამბობდნენ ისინი. სოფლელს ფეხი ისე ვერ გადუდგამს, რომ მოხელეს არ წააწყდესო. მაგათ რაღა მომატება უნდაო. მამობრივი მზრუნველობა ვერც საერო უფროსებმაც და ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებმა გაუწიეს სოფლელსა, თუმცა კანონმა სოფლელისათვის ბევრი კარგი დაავალა. ამის გამო სოფლელი დღევანდლამდე ისევ ისე უპატრონოდაა, როგორც წინათ იყო, ისევ ისე უწყალოდ ირღვევა სოფლელის უფლება, როგორც აქამდე იყო.

ამ საგანს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით.

ა. ფრონელი

---

ტიპი ეცნო და მოუნელებელი ბოღმა-ბრაზით დაჰლექეულიყო-მეთქი. კიდევ ამ ნატვრის ფიქრში ვიყავ გართული, რომ უცბად თავს დამადგა თავის მეძებარ-მწევრებით, მონადირის ტანისამოს-თოფ-იარაღში გამოწყობილი, თერგ-დალეული ჩემი ამხანაგი და გამქრიახედ დამძახა:

— ბიჭოს! ერიჰააა, შენ ისევ მოუმზადებელი ხარ. ადე, ადე! ჰა, ჩქარა, შორი გზა გვაქვს, ეხუმრები: ეს ამოდენა მთა უნდა გადვიაროთ, მთელი ალაზნის მინდორი გავთრაქოთ და ჩაკიბულზე ჩავიდეთ ვირთ-უზნელების ძროხის ბინებში ღამის გასათევადო.

საჩქაროდ გამოვეწყე მონადირის ტანისამოს-თოფ იარაღში და გავედით თუ არა სასოფლოზედ, სადაც უქმედღის გამო მთელი სოფელი შეყრილიყო და რაღაცაზედ ყატყატებდა, წინ გადაგვეღობა გიო სხვისლუკმაშვილი და გვითხრა:

— პატარა ხანს მაითმინეთ, თქვენი გამჩენის ჭირიმეო.

მე და ჩემი ამხანაგი გავჩერდით, ცნობის მოყვარე ხალხმა სული განაბა და თვალ-ყური აცქვიტა.

— ღვთის კაცებო, —დაიწყო გულგაბრაზებულმა გიომ, ეგეთი ცეცხლი და გენია გაგიგონიათ, რომ სილარიბისაგან ცხრა ტყავ-გამძვრალს კიდევ ათასნაირად გვატყავებენ და არავის ვებრალებით?! აბა ერთი მითხარი რამე ამაზე, ქუდი დასვით და სამართალი ქენით, კაცებო, სამართალი!

— რა ამბავია, გიო, ვინ, გაგაჯავრა, —შევეკითხენით.

— რაღა რა ამბავია, თქვენი ჭირიმეთ, წლეულ ჩემი ოფლით მორწყული ვენახის რქა წითელი ცეცხლივით გაჰლუოდა წითლად და ღვინო დამიდგა იგეთი მაღალი უფლის მადლმა, რო აბა რაღა გითხრათ, სპირტივით, მაგრამ რა შვილოსა, წყლის ფასად გადავღვარე—საპანე ოთხ თუმნად, ამას ვინღა იჩივლებდა, რო...

—სიტყვას ნუ დაივიწყებ, გიო, და ჩვენი მთელს ქვეყანაზე გათქმული, მაგრამ დღეს საძაღლოორედ გამხდარი ღვინოები წყლის ფასად-კი არა, წყალზედ უფრო იაფად იყიდება და აი დასასაბუთებელი ჭეშმარიტებაც: საპანეს ხომ ოც და თორმეტი ჩაფით იღებენ და საპანე ოთხ თუმნობაზედ ჩაფი იჭერს მანათსა და ხუთ შაურს, ჩაფში ოც და ხუთი ბოთლია და ბოთლი ღვინო უჯდებათ შაურად, გესმით, ხალხნო, ჩვენს სანაქებო ოქრო-ლალის ღვინოს ბოთლს შაურად ყიდულობენ ვაჭრები, და აბა ეხლა გავიგოთ თითონ ვაჭრებივე ბოთლს წყალს როგორღა ჰყიდიან, —უთხრა სმენად გადაქცეულს ხალხს ჩემმა ამხანაგმა და იქვე გზას იქედამ, პირდაპირ სამიკიტნოში გასძახა: გალუსტ! ჰაი, გალუსტ!

— ჰამე! რას მიბძანებთ, კნიაზ?— ვერაგული თავაზიანობით გამოსძახა გალუსტამ.

— ლიმონათს როგორ ჰყიდი ბოთლს?

— სხვაზე ხუთ შაურად, მაგრამ თქვენ აბაზათ მოგართმევთ.

— პივოს როგო-ღა ჰყიდი?

— ისიც აბაზათ ინებეთ.

— ეგე, ხალხო და ჯამაათო, ბოთლს აბაზათ აშმორებულ წყალსა ჰყიდიან სხვები და ჩვენ-კი, ქართველები, ბოთლს შაურად რომივით ღვინოსა ვყიდით ჩვენი უხეირობით. ვაი სირცხვილო!.. მაგრამ მალე ღმერთი გვიშველის: ქვეყნისათვის გულშემატკივარი ნასწავლი კაცები ცდილობენ, რომ მგელკაცუნების კლანჭებიდან დახწეული ჩვენი ოქრო-ლალის ღვინო ღირებულ ფასად ისყიდებოდეს და ვენახის პატრონებს იაფ-სარგებლით სასოფლო ბანკიდამ ფულიც ეძლეოდეთ ხელის მოსანაცვლად.

— აი ნეტავი ღმერთმა ბრძანოს! აი ნეტავი არ იქნება, რო...

— დაიცათ ხალხო და ჯამაათო, დამაცათ ერთ ჩემი ჭირი ბოლომდინ გავაგებინო ა კაცებს!—შატევნის კილოთი უთხრა გიომ ხალხს და მოგვიბრუნდა: ჰო, იმას მოგახსენებდით, ჩემი ღვინო რო გავყიდე, დაბექვდის წინად ნახევარ ჩაფი ჰაშნიკი ამოიღო სირაჯმა და ერთი კაი დაჯიდა ხელადაც მუცელში ჩაისხეს იმანა და დალალმა. როცა ამოსაღებათ მოვიდნენ და დაძაბრული რუმბი ქვევრს მიუსანთეს, ექსი დიდმუცელა დოქიც მაშინ ჩაასხა რუმბში ღვინის ამომწყავმა გრიქულამ: ეს ღმერთმა ამღებსაც ხეირი მისცეს და გამღებსაცო, ეს ღმერთმა შაიწყალოს ამათი ძველი და ახალი გადაცვალებულიო, ეს ღმერთმა ააშენოს სომხის დუქანი და ქართველის გუთანი, რო სომხებს გამტკიცული არ შემოაკლდეთ და ქართველებს დამპალი ლოქოს თევზიო, და ვინ მოსთვლის რა ჯანდაბურად არ ილოცებოდა თითო დოქის ჩასხმაზე, მე კი ძაღლივით გული მიღრინავდა და ხელებში წვდომით ვეჩხუბებოდი: კარგია, კაცო, გეყოფა, ჩემი შიშველ-ტიტველო ცოლ შვილი ემაგ ერთ საპანე ღვინოს შაჰხარის აღდგომის კვერცხივით მეთქი, მაგრამ აბა! შააგდო ქვა და შაუშვირა თავი: დალოცვის ადათი ექვსამდინ არიო. ახლა ამოღების ბოლოს დასხდნენ რვა-ცხრა ოდია, ჩოლია და ჩაფზე მეტი ღვინო ჩაისხეს მოუკუპრავში. და ბოლოს, როცა რუმბ-დადებული ურემი გაისტუმრეს, ვიფიქრე: მოდი ერთი ა ნახევარ ჩაფიანს გამოვუწყავ მეთქი. გამოვწყე დაბექდილ ხელადაზედ და რა ვნახე, კაცებო! ნახევარ ხელადით დიდი გამოდგა და თითო ამოღებაზედ ნახევარ ხელადაც იმოდენა ღარძლა-დახვეული ჩაფის პირს გადააქვს. აბა ეხლა ვიანგარიშოთ: ეს დაბექვდის დროს ჰაშნიკიო, ეს დასალოციო, ეს ერთი ჩაფი ზედ დასხმაო, ეს ნახევარ ჩაფიანის ნახევარ ხელადით სიდიდეო, ეს ღარძლა მოკრული ჩაფის პირით დალატიო, ეს ნახევარი ჩაფი დალალსო, ნახევარი ჩაფი ამომღებსო, ეს ღვინის ამოღების ბოლოს სადილზე გაუმაძღრად დალევაო და სულ უკანასკნელად რო ჩავაგდოთ ერთ საპანე

# ახალი ამბავი

*** მისის უდიდებულესობის დედოფალ იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის უმაღლესის სასახლის გოფმეისტერი თავ. გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე 10 დეკემბერს წარუდგა მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს, ხოლო 8 დეკემბერს—მისს უმაღლესობას დედოფალ იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს.

*** 12 დეკემბერს პეტერბურგში გაუმართნიათ ქართული საღამო. საღამოში მონაწილეობა მიუღია ბ-ნის არხანგელსკის მომღერალთა გუნდს, რომელსაც მშვენივრად შეუსრულებია სხვა-და-სხვა ქართული სიმღერები; ლეკური უცეკვნიათ ქ-ნთ მ. პეტიპას, ქავთარაძეს, უგანათლ. თავ. დადიანს, სტუდენტებს ქუთათელაძეს, ვახვახიშვილს და სხ. მოცეკვავენი ქართულად ყოფილან ჩაცმულნი. საღამოს ძალიან მხიარულად ჩაუვლია.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განცხადება მიიღო პეტერბურგიდგან მ. ი. ვივოდცევის ფირმისაგან იმ პირობითურთ, რა პირობითაც ეს ფირმა ჰკისრულობს ქ. ტფილისის ელექტრონით განათებას.

*** ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ მან ნება დართო სისრულეში იქმნას მოყვანილი ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნან დაფასების გარდასახადისაგან იმ კონებითა პატრონები, რომელთა მამულის ღირებულება 500 არ აღემატება.

*** 20 დეკემბერისათვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნას, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ქალაქის მოურავის წინადადება იმის შესახებ, რომ კომისია იქმნას არჩეული ღარიბთათვის მანთაშევისმიერ შეწირულ შეშის დასარიგებლად; ქ. ტფილისის 1900 წლის შემოსავალ-გასავლის აღწერილობა; გამგეობის დადგენილება ქალაქის საქალებო საავადმყოფოსათვის 300 მანეთის გადადების შესახებ; გამგეობის დადგენილება ინჟინერის ლინდლეის პროექტის შესახებ, რომელიც ქალაქში წყლის გამოსაყვანად ახალ წყაროების მოძებნას შეეხება და სხ.

*** გუშინ, 18 დეკემბერს, კავკასიის მთავარმმართებლის თავ. გოლიცინის ბრძანებით, ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა მოთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაუყოვნებლივ წარმომიდგინეო საბჭოს დადგენილება 1898 წლის 9, 12, 13, 16 და 23 ს ნოემბერისა, რომელიც შეეხება ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმადგენელ ბ-ნ რომბისთან ხელშეკრულობას ქალაქის რკინის გზის იჯარით მიცემის შესახებ და აგრეთვე პირი საბჭოს მიერ საბოლოოდ შემუშავებულ ხელ-შეკრულობის პროექტისაო.

*** იმ ზედამხედველთა თანამდებობის დაარსება, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ გარდასახადთა წესიერად შეტანას და აგრეთვე ხელს უნდა უწყობდნენ სასოფლო მეურნეობის წესების გაუმჯობესობას, იმდენად სასარგებლო აღმოჩენილა სახელმწიფოსათვის, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ მოკლე ხანში კიდევ რამდენსამე ასეთ თანამდებობას თურმე დაარსებს კავკასიაში.

*** ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ასწორებს ამ ჟამად თოვლისაგან დაზიანებულ ტელეფონის მავთულებს. 66-მდე დაზიანებული ბოძი უკვე გაუსწორებიათ. მომავალ კვირაში ტელეფონი ქალაქის ზოგიერთ ნაწილში უკვე დაიწყებს მუშაობას.

*** როგორც გავიგეთ, კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ლ. ველენევი უნდა გამოსულიყვეს პეტერბურგიდგან 18 დეკემბერს; იქიდგან ის ბაქოში გამოივლის და შემდეგ ტფილისშა მოვა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს თავისს სხდომაზე დაადგინა: მიანდოს ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს თვალყური ეჭიროს ქალაქის მილის წყლის სიავ-კარგეზე და აგრეთვე, ყურადღება იქონიოს, რომ ავჭალის წყაროებიდგან მღვრიე წყალი არ გამოუშვან. ამასთანავე ხშირ-ხშირად ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი უნდა მოახდინოს მილების წყლისა. გარდა ამისა როგორც იმავე ინსპექტორმა, ისე ქალაქის ინჟინერმა—ბ-ნმა ალიბეგოვმა წესდება უნდა შეადგინონ მილის წყალზედ თვალ-ყურის გდების შესახებ როგორც ტფილისში ისე ავჭალაში.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარსამმართველომ შეატყობინა ბათუმის ქალაქის მოურავს, რომ ქ. ბათუმის ელექტრონით განათების პროექტს შევსება ესაჭიროება და რომ ეს პროექტი უკვე გაგზავნილია შინაგან საქმეთა სამეურნეო დეპარტამენტში. ამის გამო ქალაქის მოურავს შემდეგი დეპეშა გაუგზავნია სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორისათვის: „ვშუამდგომლობ ქ. ბათუმის ელექტრონით განათების პროექტის საჩქაროდ დამტკიცების შესახებ. ქალაქს ზარალი აქვს“.

*** სათანადო დაწესებულება შეუდგება განსაკუთრებულ წესების შემუშავებას იმ კერძო კაცთა დასაჯილდოებლად, რომელთაც ადგილები ჩამოერთვათ ხაზინის სხვა-და სხვა საჭიროებისათვის.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ წინადადება მისცა კოჯორის „პოსადის“ მამასახლისს, მოახდინეთ ამ მოკლე ხანში ქალაქის გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნები მომავალ ოთხის წლისთვისაო.

*** მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ ოქტომბრისა, ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში შემოსულა 4,898 მან. მანამდე იყო 60,221 მან., ახლად შემოსულ ფულით შესდგა 65,119 მან.

*** ახალქალაქის მაზრის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ამ მაზრის მცხოვრებთ, რომელნიც მოუსავლობით დაზარალდნენ, შემწეობა მიეცეთ.

*** 20 დეკემბრიდგან ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში დაიწყება სადღესასწაულო მისალოც დეპეშების მიღება. ამ დეპეშებზედ გამგზავნელთ ადრესის წინ უნდა წააწერონ სიტყვა — „Рождественская“ ანუ საახალწლო — „Новогодняя“; ეს სიტყვები უფასოდ იქმნება გადაცემული. დეპეშები მიუვათ ადრესატებს: „საშობაო“ — 25 დეკემბერს, ხოლო „საახალწლო“ — 1-ლ იანვარს.

*** ზემო-ქართლი. სოფ. ოქონისა და კნოლეს გლეხ-კაცობა მეტად გაჭირვებულია საზრდოს უქონლობით. სეყველას საკვები გამოელიათ და თითო ჯამობით თხოულობენ. არსაიდან შველა არა აქვთ. თუმცა ქუთაისში მოაგროვეს სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხებისთვის ფული, მაგრამ ეგ ჯერ გვიან ღირსებათ; ვინ იცის, რამდენი კაცის ხელში უნდა გამოიაროს ამ ფულმა, ვიდრე დანიშნულს ადგილს მიაწევდეს.

როგორც გავიგეთ, კნეინა მაკინე ამირეჯიბისა აგროვებს დაზარალებულ გლეხებისათვის პურს და უკვე შეუგროვებია სამოც-და-ათი კოდი (350 ფ.) აქაურმა გლეხებმა გაიგეს ეს ამბავი და დიდს ლოცვას და მადლობას უგზავნიან კნ. მაკინეს. პატივცემული კნეინა ძალიან დიდი მადლობის ღირსი იქნება, რომ დროზედ მოაშველებდეს ამ დამშეულ გლეხებს პურსა.

აქეთ დიდი თოვლი და ყინვებია; მარხილების გზა გავიდა.

*** მოღვთის სადგურის მახლობლად სახალხო მატარებელი № 1 დაეჯახა ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფელ ზვარის მცხოვრებს —გიორგი კურტანიძეს და ლიანდაგზე წააქცია. მემანქანის მიერ საჩქაროდ მიღებულ ღონისძიების მიუხედავად, რომ მატარებელი გაეჩერებინა, კურტანიძე ორთქლ მავლის თვლებს მოჰყვა და თვლებმა შუაზედ გაჭყლიჯა.

*** სოფ. გომბორიდგან „ტფ. ფურ.“-ს სწერენ, რომ იქ არა-ჩვეულებრივი მკაცრი ზამთარია. ყინვა ამ ბოლო დროს 15—18 გრადუსამდე ასულა. მთის უღელტეხილზედ ისეთი დიდი თოვლი დაუდვია, რომ კარგა ხანს გზებზედ ცხენით და ეტლით სიარული შეწყვეტილი ყოფილა. საძენ შეშის ფასს აუწევია 13—14 მანეთამდე 6—8 მანეთის მაგივრად.

*** ტფილისში ამ ბოლო დროს გახშირდა ბავშვების ავადმყოფობა.

*** 17 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, შეაჩერეთ ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების შესრულება, რომელიც შეეხება უსახელო საზოგადოებაზედ ცხენის რკინის გზის კონცესიის გაცემის პირობებსაო.

*** 17 დეკემბერს იმ ადგილებს, სადაც გამგეობის აგენტები ნავთსა ჰყიდდნენ გირვანქას $2^1/_2$ კაპ., მრავალი ხალხი მიაწყდა ნავთის სასყიდლად. ამ ხალხში ღარიბთა გარდა ერივნენ შეძლებულთა მსახურნიც. წესიერების დასაცველად საჭირო შეიქმნა პოლიციის დახმარება.

*** ტფილისში მორეკილ საქონლის რიცხვმა, რომელიც, თოვლისაგან მიმოსვლის შეწყვეტის გამო შემცირდა, ამ უკანასკნელ დღეებში ისევ იმატა და საქონლის ფასმაც დაიწია; ხოლო თუ ტფილისის ბაზრებზედ ეს ფასები ისევ მაღლა სდგას, ეს საქონლის დიდ ვაჭართა თვით-ნებობას უნდა მიეწეროს, რომელნიც ამ ფასებს სხვა-და-სხვა ხრიკით სწევენ.

*** რადგან ტფილისში მდ. მტკვრის კალაპოტი შეიცვალა, ამის გამო საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაათვალიერებინეთ ტეხნიკოსებს მტკვრის კალაპოტი და აარჩევინეთ ახალი ადგილი იორდანისათვის ფარდულის გასამართადაო.

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება.

გუშინ-წინ, 17 დეკემბერს, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას. კრებას, საზოგადოების წევრების გარდა, დაესწრნენ აბრეშუმის თესლის ვაჭარნიც, რადგანაც იმ კრებაზედ უნდა განეხილათ პროექტი წესებისა საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ აბრეშუმის თესლის გამოსაკვლევად და მოესმინათ ბ-ნ ალიბეგოვის მოხსენება ამავე საგნის შესახებ.

ვიდრე ამ პროექტის განხილვას შეუდგებოდნენ, წაკითხულ იქმნა საზოგადოების საბჭოს კრებების ოქმები. სხვათა შორის კრებამ მოისმი-

---

ღვინოში ათი-თერთმეტი ჩაფი მეტი გამამგლიჯეს მუქთად!... გული ამიღრინდა და გავცეცხლდი ი ხელჩაფა რო გამოვწყე, მაგრამ ღვინით გამობრუჟულმა სირაჯმა ჩემი გაჯავრება აინუნშიაც არ ჩაიგდო, მამაგდო ოთხი თუმანი, მააჯდა იორღას და გააქანა ღვინის ამიამღებ გრიქულას ხელჩაფა აღარ დავანებე და გავწიე მამასახლისთან. გრიქულაც თან ამედევნა. მამასახლისი, სოფლის სუდიები, სბორჩიკი, მწერალი, ამბარდანი, გზირები და ჩვენი ვეტრანა მასწავლებელი პოლოსას სამიკიტნოს უკანა ოთახში ისხდნენ მძორ-ლეშით დამძღარ სვავებივით დარინდებულები და იგრე გატიალებული იყვნენ ღვინით, რომ მუტრუკები კამეჩებათ ეჩვენებოდათ და კამეჩები ბუზებათ. ეტყობოდათ რაღაც დიდი ნადავლი ეშოვნათ იმდღეს. შავჩივლე მამასახლის: ეგრე-ეგრე საქმეა და გთხოვთ გადაახდევინოთ გრიქულას ჩემი და ათასი ჩემისთანების მოტყუება-მეთქი. ღვინით გალექებულმა მამასახლისმა ყურიც არ მათხოვა, და გრიქულამ უსირცხვილო ღრეჭით მაიყოლა: „ვაეტი მიტიკარა, ქვეყნის ღვინოს ამით ვიღებ, კრინტაც არავის გაუცია და რაღა ეს გამოვიდა ასეთი ჰკვიანი, ერთი უთხარი რამეო დაჯრას მიჰქარავ, შე ოხერო, ქვეყნის ღვინოს მაგ ჩაფითა სწყავს და შენ რაღა წითელი კოჭი ჰბრძანდებიო!“ დამიყრანტალა ღვინით დადამბლავებულმა ვეტრანა მასწავლებელმა და ვაგლახათ გადმოედინა ლოთობის დორდლები იუდასავით ჩამოტყლარჭულ ლოყლაპია პირიდამ მასრებიან ჩოხა-ახალოხზე. „გრიქულ, ის რა კაი შავი ღვინო გამოგეგზავნა იმ დღეს ჩემთვინო“, უთხრა მამასახლისმა და სუფრაზე მიიპატიჟა. „მალიდეც, გრიქულ, შენ ერთი ჩაფი ღვინო კიდე გამომიგზავნე და ფიქრი ნურასი გაქვო“, წამოილუღლუღა სათოკე მასწავლებელმა, ძილ-მორეული, უტვინო თავი სტოლს დაარტყა და ჩაძილქუშებულმა დასიცხულ კამეჩივით ფშვინვა ამოუშვა. უყურე, უყურე და რო პასუხიც არ მაღირსეს, ბოლოს ვუთხარ: მაშ ეგ არი თქვენი კაცობა და სამართალი, ხვალვე ნაჩალიკთან წავიღებ ა ხელჩაფას-მეთქი. აბა თუ ნაჩალიკთან წაიღებო, და ეხლა კი დაიღრიალეს ყველამ ერთად: „გზირებო! წაართვით ხელ-ჩაფა და ცემა-ტყეპით გააგდეთო“. მე შვინდის ჯოხით ნაცემი გარეთ გამომაგდეს, იმათ სუფრაზე დაბრძანებულმა გრიქულამ კი ერთი იგეთი შირვანის ბაიათი დაიძახა, რო მიკიტან პოლოსას ვირსაც კი ელდა ეცა: ე რა ამბავიაო და გულ-გახეთქილმა ღრიალი დაიწყო. აბა, ხალხო და ჯამაათო, ეს სამართალია!..

— კაცო-და, რატო ან პრისტავს ან ნაჩალიკს არ მოახსენე, — შეეკითხნენ.

— რაღას მოვახსენებდი ხელ-ჩაფა კი წამართვეს. აბა წადით და თქვენ უჩივლეთ საცა გინდათ სამგლე გრიქულას: დიდი ჩაფი აქვ-თქო. გრიქულა მაშინვე თავის სწორე ხელ-ჩაფას წამოიღებს და პირში ჩალას თქვენვე გამოგავლებთ. რა, ფულებს ვერ იშოვნიდა მეორე ჩაფის სასყიდლად-რა, ნალალატევს ისა და სირაჯი შუაზე არ იყოფენ, შუაზე გაეყოთ იმათ ი თავ-ტანი!

იმედია მალე გაქრება გრიქულას ჩაფიც, თუ ჩვენის ქვეყნის გულ-შემატკივრები მალე საქმეს შეუდგებიან. აბა, ეხლა კი მშვიდობით და გამარჯობით, დაგვიგვიანდება, სხვა დროსაც ვიმასლაათებთო, — უთხრა ჩემმა ამხანაგმა, გავწიეთ და მთის მწვერვალამდის გაცხარებული კამათ-ბაასით ავედით. შევდექით ქარის ამოსაღებად მთის მაღალ წვერზედ, საიდამაც ხელის გულივით მოსჩანს ალაზნის თვალ-გადაუწვდენელი მინდორი მრავალ სახოვანი, თეთრ-მანტიაწამოსხმული დაღისტნის ბუმბერაზი მთები და ცივ-გომბორის ჩამობმულ მთაგრეხილზე ზედი-ზედ მოსხმული, უზარმაზარი სოფლები ქიზიყისა. ფიქრში წასულმა ჩემმა ამხანაგმა გულ-ამოსკვნით ამოიოხრა და წარმოსთქვა:

— გული ენით წარმოუთქმელ სევდა-ნაღვლით გევსება, როდესაც ჰფიქრობ: თუ რამდენი ხალხის ქამის მგელ-კაცუნები და არა წმინდა სულნი სცხოვრობენ ამ ტურფა-მშვენიერ ქიზიყის მდიდარ ბუნებაში მეცხრამეტე საუკუნის დასასრულშიაც, რომელიც ქრება და კიდევ ამას მიიძახის მეოცე საუკუნის გარდასაცემად: o, tempora, o, mores!.. მაგრამ მალევე გავიწყდება ეს სევდა-ნაღველი იმ სასიამოვნო ნატვრის გაგონებით, როდესაც ტკაპუკიანი ტეტია ნატრობს: ახ, ნეტავი ერთი მავანი და მავანი მავნე-უწმინდური სული გაზეთში ჩაავდონ და დედამიწასთან გაასწორონო. რას ნიშნავს ასეთი ნატვრა, თუ არა იმას, რომ მწერლობის უძლიერესი ძალ-მადლი ტეტიესაც-კი შეუგნიათ ცოტამატად მაინც და აი სწორედ ეხლა უფრო გვმართებს ყველას თამამად ვსთქვათ:

დაჟანგდი, ხმალო, ჩასველდი, თოფო,
ქრება მხეცური თქვენი დღეობა,
აღზდექ, მწერლობავ, და გაგვიწიე
მოსამართლობა, ძმობა, მზეობა!

ნუ გრგვინავ, ცაო, ნურც ჰქავ, მეხო,
თქვე გან არ ძრწიან სიმართლის მტერნი,
აღზდექ, მწერლობავ, და შენ გამუსრე
ორფეხა მგელნი და ქია-მტერნი!

გაჰქერი, მტრობავ, ჩაძაღლდი, შურო,
დღეს დრო გვიდგება განახლებისა,
აღზდექ, მწერლობავ, და ამოფხვერი
ყოველი თესლი ბოროტებისა,

მოკვდი სისაწყლევ, შორს, უმეცრებავ,
თქვენს პირად გაჩნდა მეცნიერება,
აღზდექ, მწერლობავ, და მოგვანიჭე
ცოდნა, სიმართლე, ბედნიერება.

განზე, მაცდურნო, მოღალატენო,
ბულბულს რად უჯობს კაჭკაჭის ენა,
აღზდექ, მწერლობავ, და შეგვაყვარე
ჩვენს ტკბილს ენაზედ გლოვა და ლხენა!..

ეს იყო კიდეც ჩვენმა ბიჭმა, რომელსაც შეკაზმული ცხენები ეჭირა, დაიძახა: არიქათ, დასწვრივ ღელეში ძაღლებმა მელა წამოახტუნესო — და მარჯვნივ-მარცხნივ გავიქეცით ღელის ბორცვებიან ქედებზედ.

ყველგანმყოფი

ნა ჟურნალ „Вѣстникъ Виноделія“-ს რედაქტორის ბ-ნ თაიროვის წერილი, საზოგადოების მიმართ მოწერილი. ეს წერილი დღევანდელ მევენახეობის საჭირ-ბოროტო საგანს შეეხება. როგორც ვუწყით, მევინეობის საქმეში ამ ბოლოს დროს ფალსიფიკაციამ ძლიან გაიდგა ფეხი, ნამდვილ ღვინოს კაცი ეხლა ბაზარში ძვირად-ღა შეჰხვდება, ვაჭარნი აზავებენ ღვინოს სხვა და სხვა წამლებით და ისე ჰყიდიან. ბ-ნ თაიროვს განუზრახავს „Вѣст. Винод.“-ს რედაქციაში მცოდნე კაცები მიიწვიოს ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება მოახდინოს და რამე ზომები შეიმუშაოს ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. სხვათა შორის ბ-ნ თაიროვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისთვისაც მიუმართავს და უთხოვნია, შეგვატყობინეთ მანდაური მევინე-მევენახეების აზრი ამ საგნის შესახებაო. საბჭოს საზოგადოებისას, განუხილავს რა ეს წერილი, დაუდგენია დაბეჭდოს იგი თავისს გაზეთში, შემდეგ ცალკე გამოსცეს, დაურიგოს სოფლის მეურნეთ და ყველა იმათ, ვისაც ეს საქმე აინტერესებს და ამასთან სთხოვონ თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ საყურადღებო საგნის შესახებ.

კრებამ მოიწონა საბჭოს დადგენილება.

შემდეგ წაკითხულ იქმნა პროექტი წესებისა საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ აბრეშუმის თესლის გამოსაკვლევად.

კარგა ხანია მთელს ამიერ-კავკასიაში მეაბრეშუმეთა საჩივარი გაისმის, რომ საზღვარ-გარეთიდგან თესლის ვაჭრებს უმეტეს ნაწილად ავადმყოფი თესლი შემოაქვთ, ამის წყალობით მეაბრეშუმეებს დიდი ზარალი მოსდით და თვით მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეც ფერხდება ჩვენს ქვეყანაშიო. მეაბრეშუმენი თხოულობდნენ და თხოულობენ, რომ რამე კანტროლი დაენიშნოს თესლის ვაჭრობის საქმეს და აღკრძალულ იქმნას ავადმყოფის თესლის გაყიდვა. რამდენიმე წელიწადია ტფილისის საბრეშუმო სადგური შეუდგა კიდეც უცხოქვეყნებიდგან შემოტანილ თესლის გამოკვლევას. მაგრამ ეს საქმე ყველასათვის სავალდებულო არ არის, სადგური იკვლევდა და იკვლევს მხოლოდ იმ თესლს, რომელსაც ნება-ყოფლობით მეთესლენი წარუდგენენ ხოლმე.

ამ საგანს ეხლა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და მოიწადინა განაწესრიგოს აბრეშუმის თესლის ვაჭრობის საქმე. მხოლოდ ჯერ-ჯერობით აზრადა აქვს მეაბრეშუმეების, მეთესლეების და საზოგადოდ იმათი აზრი შეიტყოს ამის შესახებ, ვინც ამ საქმეში დაინტერესებულია. პროექტი, რომელიც წაკითხულ იქმნა წარსულ კრებაზედ, შედგენილია კავკ. საბრეშუმო სადგურის გამგის ბ-ნ შავროვის მიერ. შავროვს ეს პროექტი მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევისთვის წარუდგენია, ხოლო რწმუნებულს სამეურნეო სამინისტროში გაუგზავნია. სამინისტროს მთავარ-მართებლისთვის უთხოვნია შეეკითხონ ადმინისტრაციის შემწეობით ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეთ და იმათი აზრი გაიგონ ამ საგნის შესახებ.

პროექტის ძალით, თუ იგი განხორციელებულ იქმნა, ყველა ის თესლი, რაც საზღვარ-გარეთიდგან კავკასიაში შემოვა, განხილულ და გამოკვლეულ უნდა იქმნას კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ. თესლი დამოუნიდგან პარდაპირ სადგურს უნდა გადაეცეს. ის თესლი, რომელიც გამოკვლევის შემდეგ ავადმყოფი აღმოჩნდება, იქვე უნდა განადგურებულ იქმნას და პატრონს აღარ გადაეცეს. რასაკვირველია თესლის გამოსაკვლევად სადგურს ახალი მოხელენი დაენიშნება, ხოლო იმ ხარჯის გასასტუმრებლად, რაც ამ მოხელეებსა და მოწყობილებას დასჭირდება, თესლს განსაკუთრებული მცირე გარდასახადი დაედება.

ამ პოექტმა საზოგადოების კრებაზედ ცხარე კამათი გამოიწვია. კრების ორიოდე წევრმა უსარგებლოდ და მავნებლად სცნო სავალდებულო კანტროლის შემოღება აბრეშუმის თესლის ვაჭრობის საქმეში. მათის სიტყვით, სხვა ქვეყნებში, სადაც მეაბრეშუმეობაა: საფრანგეთსა, იტალიასა, ოსმალეთსა, უნგრეთსა და სხვაგან, ასეთი სავალდებულო კანტროლი არ არსებობს *).

**ბ-ნი დანდუროვი.** ეს საგანი უნდა კარგად გამოირკვეს. შეიძლება ახალმა კანტროლმა, წესებმა და ფორმალისტობამ შეამციროს თესლის შემოტანა საზღვარ-გარეთიდგან. ადგილობრივ დამზადებული თესლი არ გვეყოფა და მაშინ უთესლოდ დავრჩებით.

**ბ-ნი შამანოვსკი.** შეუძლებელია სავალდებულო კანტროლს ეგ შედეგი მოჰყვეს. ჯერ ეხლა, როდესაც სავალდებულო არ არის თესლის წარდგენა საბრეშუმო სადგურში, მეთესლეებს მაინც მიაქვთ იქ განსახილველად, ხოლო მაშინ-კი უფრო წაიღებენ.

**ტერგუკოვი.** კარგი თესლის პატრონი არასოდეს არ შეუშინდება კანტროლს. კანტროლს გაურბის მხოლოდ ჩარჩი მეთესლე, რომელიც განგებ ავადმყოფ თესლსა ჰყიდის.

**დანდუროვი.** კანტროლი შეამცირებს ადგილობრივ წარმოებას თესლისას. ამას გარდა ჩვენში ყოველთვის კარგი თესლი შემოაქვთ და კანტროლი არც-კია საჭირო.

**შამანოვსკი.** ადგილობრივი წარმოება თესლისა მხოლოდ მაშინ განვითარდება, როდესაც კარგი თესლი იქმნება საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილი.

**ალიბეგოვი.** დანდუროვი ბრძანებს, რომ კარგი თესლი შემოაქვთო. ეს მართალი არ არის: უმეტეს ნაწილად ავადმყოფი თესლი შემოაქვთ. ამ თესლს 30—40 კაპ. ჰყიდიან. შეუძლებელია კარგი თესლი ამ ფასად გაიყიდოს.

**ალოიზი.** კანტროლი საჭიროა. ასეთი კანტროლი ყველა იმ სახელმწიფოში არსებობს, სადაც მეაბრეშუმეობაა. ჩვენში არასოდეს მეაბრეშუმეობა ფეხს ვერ მოიკიდებს და ვერ განვითარდება, ვიდრე თესლის ვაჭრობა არ განწესრიგდება.

*) იმის შესახებ, თუ სხვა ქვეყნებში რა სავალდებულო კანონებია გამოცემული, იხილე ბ-ნ ქუთათელაძის წერილები: „ივერია“ №№ 236, 238, 240 და 241.

ესევე განაცხადეს ზოგიერთა სხვა წევრებმაც. ბ-ნმა ნატროშვილმა სთქვა, კანტროლი საჭიროა, მაგრამ იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ადგილობრივად თესლის მზადების საქმეც განვითარდეს და გაძლიერდესო.

**ალიბეგოვი.** ჩვენში თესლის მომზადების საქმე არ განვითარდება იმ დრომდე, ვიდრე საზღვარ-გარეთიდგან უვარგისი თესლი შემოაქვთ, რომელსაც ნახევარ ფასადა ჰყიდიან. თესლის მომზადების საქმეს ბევრმა მიჰყო ხელი, მაგრამ ისევ თავი გაანება, რადგანაც უვარგის თესლს, რომელსაც იაფადა ჰყიდიან, მეტოქობა ვერ გაუწია.

შემდეგ საზოგადოების თხოვნით ბ-ნმა ალიბეგოვმა წაიკითხა თავისი მოხსენება. ალიბეგოვი თავისს მოხსენებაში არჩევს შავროვის პროექტს და უსარგებლოდა სცნობს ისეთს კანტროლს, როგორც ამ პროექტშია დასახელებული. ბ-ნ ალიბეგოვის აზრით უმჯობესია საქმე ასე მოეწყოს. ყოველ წელიწადს საბრეშუმო სადგურმა შეუკვეთოს საზღვარ-გარეთელ ფირმებს მთელის კავკასიისათვის საჭირო თესლი. ხოლო, რათა თესლი კარგად მომზადდეს, სადგურს თავისი მოხელენი ეყოლება, რომელთაც ადგილობრივ თვალ-ყური უნდა ადევნონ თესლის მზადებას. ამ შემთხვევაში ხარჯიც ნაკლები ექმნება სადგურს. ბ-ნ შავროვის პროექტით დასჭირდება 40,706 მანეთი, ხოლო ალიბეგოვისა—33,080 მან.

ბ-ნ ალიბეგოვის მოხსენების წაკითხვის შემდეგ წევრებს კიდევა ჰქონდათ ბაასი თესლის ვაჭრობის განწესრიგების შესახებ. თითქმის ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა კანტროლიო.

**თავ. ჩიჩუა.** ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობას ძალიან მისდევენ, მაგრამ, საუბედუროდ, კარგის თესლის უქონლობისა გამო იმისი განვითარება ფერხდება. ჩვენში თესლს არ ამზადებენ, ამიტომ მცხოვრებნი უცხო-ქვეყნებიდგან შემოტანილ თესლს იძენენ; ეს თესლი-კი უმეტეს ნაწილად ავადმყოფია ხოლმე. წარმოუდგენელია ის ზარალი, რაც ამისაგან მეაბრეშუმეებს მოსდით. ხშირად აბრეშუმის ჭიის გასაჩენად სოფლელნი საქონელსაც კი ჰყიდიან; ადვილი წარმოსადგენია იმათი მდგომარეობა, როდესაც თესლი უვარგისი გამოდგება; მთელი ნაშრომ-ნაღვაწი ეკარგებათ. ქუთაისის გუბერნიაში კარგა ხანია ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ თესლის ვაჭრობის საქმე როგორმე მოეწყოს. ჩვენ ვფიქრობდით, ამისთვის სამეურნეო საზოგადოებისთვის მიგვემართა. დღეს უეჭველ საჭიროებას შეადგენს თესლის ვაჭრობას ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და აღკრძალოს ავადმყოფის თესლის გაყიდვა. თუ ამ მხრივ რამე ზომები არ იქმნა მიღებული, მეაბრეშუმეობა ჩვენში დაეცემა.

კრებამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ დაადგინა მომავალ სამშაბათსაც მოახდინოს კრება ამავე საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამას გარდა კრებამ საჭიროდ სცნო ნუხასა, ნახიჩევანსა, შუშასა და გეოგჩაიში, სადაც მეაბრეშუმეთა კრებები უნდა მოხდეს, კაცები გაგზავნოს ადგილობრივ მეაბრეშუმეებთან ამავე საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად და იმათის აზრის შესატყობად.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

შემდეგს სამწუხარო ამბავს იუწყება გაზ. „კრიმ. ვესტ.“ სევასტოპოლში, ხერსონის ქუჩაზედ სცხოვრობდა თურმე ცოლით ტყის უფროსი სტეფანე ზოლავსკი. ერთის თვის წინად ცოლი ზოლავსკისა ხარკოვში წასულა სამკურნალოდ. თვით ზოლავსკიც ხშირ-ხშირად მიდიოდა თურმე სხვა ქალაქში და თავისს სახლს დაკეტილსა სტოვებდა, რადგანაც მოსამსახურე არა ჰყვანდა. რადგანაც ის სახლი, სადაც ზოლავსკი სცხოვრობდა, მივარდნილ ადგილას იყო, ახლო-მახლო არავინ იცოდა ხოლმე, როდის იყო ზოლავსკი შინ და როდის არა. ამ ერთის კვირის წინად სევასტოპოლში მისულა მეორე ტყის უფროსი როდზანსკი, რომელსაც რაღაც ქაღალდები უნდა გამოერთმია ზოლავსკისათვის, მაგრამ რადგანაც სახლი დაკეტილი დაუხვდა, პოლიციასა სთხოვა, კარები გააღეთ, რომ ქაღალდები წავიღოო. პოლიციას ამ საქმისათვის ერთი ბოქაული და პოლიციის მოხელე გაუგზავნია. დილით სამივენი წასულან ზოლავსკის სადგომში, დაუზარებიათ სლესარი და კარები გაუღებინებიათ, როდესაც სახლში შესულან, რაღაც მყრალი სუნი სცემიათ. საწოლ ოთახში დაუნახავთ აწეწილ-დაწეწილი ლოგინი; ბალიშები და ლეიბები ერთი-ერთმანეთზედ ეყარა თურმე. ბოქაულს ერთი ლეიბი გადაუხდია და უკან გადამხტარა შიშისაგან, ისეთი საზარელი სურათი დაუნახავს. იატაკზედ ეგდო თურმე სრულიად გატიტვლებული, ნახევრად გახრწნილი და მატლებ დახვეული გვამი ზოლავსკისა. თავზედ დიდი ჭრილობა ჰქონია, ეტყობოდა, რომ ცული დაუკრავთ და იმით გაუჩეხიათ თავი. საწოლი ოთახი არეულ-დარეული აღმოჩნდა, ნივთები აქა-იქ ეყარა. აშკარა იყო, რომ გვამი რამდენიმე კვირა ეგდო იატაკზედ. პირველ გამოძიებას ვერაფერი გამოურკვევია. ვერ გაუგიათ, ვის და რა მიზეზით მოუკლავს ზოლავსკი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი

**ლონდონი.** „Dailu Telegraph“-ის მიერ შეკრებილ ცნობებით, 3,000 კაცის მაგიერ, მთავრობას აზრად აქვს 8—10 ათასი კაცი მიიღოს სამსახურში.

„Hondard“-ს აცნობებენ დურბანიდგან 15 დეკემბერს, რომ ამ დღეებში ტრანსვაალიდგან მოსული კაცები ლაპარაკობენ, რომ დათესილი მიდვრები მშვენიერი სანახავია; მოსავალი საუკეთესო იყოვო.

**იოჰანესბურგი.** სარწმუნო წყაროებიდგან მოსულ ამბების მიხედვით, ყველაფერი კარგათ არის, უცხო ქვეყნელთა მიერ შემდგარ მილიციის წყალობით. მართალია, საუკეთესო სახლებს დაეპატრონნენ ღარიბი ბურები, მაგრამ ყოველგვარი ლტოლვილება ცარცვა-გლეჯისადმი ითრგუნება.

**პიტერმარიცბურგი.** ლედისმიტიდგან იუწყებიან, რომ იმ დღიდგან მოკიდებული, რაც მტერი ქალაქს შემოერტყა, 10 დეკემბრამდის ინგლისელებს დაუხოცეს 70 კაცი და დაუჭრეს 236. ბანაკში ბევრი კაცი გახდა ავათ სახადით.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს, რომელიც მოხდა დღეს ელისეს სასახლეში, თათბირი ჰქონდა ნაპირებისა და ახალშენების გამაგრების შესახებ. ანგარიშით, 120 მილიონი მოუნდება ამ საქმეს. მუშაობა გათავდება ორ წელიწად ნახევარს. ხარჯს აჰხურავს ჩვეულებრივი ბიუჯეტი. კრედიტი ფლოტის გასაძლიერებლად უკვე შეტანილია ხარჯთ-აღრიცხვაში.

**ბოსტონი.** საზოგადოებათა საბჭოს დადგენილებაში მოხსენებულია მილოცვა კრიუგერისამიდ დღემდის გამარჯვების გამო და იმედი არის გამოცხადებული, რომ ბოლოს გამარჯვება ბურებს დარჩებაო.

**ბერლინი.** „Rachsauzeiger“-ში დაბეჭდილია: ვოლფის სააგენტოს მიერ უარ ყოფის მიუხედავათ, გაზეთი „Lokalanzeiger“-ი თავს არ ანებებს სახელი გაითქვას ამბების ბეჭდვით გერმანიასა და ინგლისს შორის ხელშეკრულობის დადების შესახებ, რაიცა ტყუილია. ჩვენ დავალებული გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ ეს ცნობები თავხედობასა და უხერხულ გამოგონებაზედ არის აშენებული.

18 დეკემბერი

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან 11 დეკემბერს: „აქ ხმა გავრცელდა, რომ მატეი და შტეინი, ძმა ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და 800 ბური ამავე რესპუბლიკისა აცხადებენ, რომ ამის შემდეგ აღარ შეგვიძლიან ტრანსვაალის ბურებს ვუშველოთო.

**კაირი.** ეგვიპტის გაზეთები იუწყებიან, ვითომც ეგვიპტის ცნობილს აგიტატორს მუსტაფა-კამილს მიწერ-მოწერა ჰქონდეს ტრანსვაალის წარმომადგენელ ლეიდსთან. ვითომც ლეიდსს ეცნობებინოს მუსტაფა-კამილისათვის, რომ ეგვიპტელებისათვის საუკეთესო წა[illegible]ადგა ინგლისელებისაგან თავი გ[illegible]ინთავისუფლონო, მუსტაფას აზრად აქვს პატრიოტული გაზეთი დაარსოს ეგვიპტეშიო. ინგლისელების აზრით ამ გარემოებას ყურადღება არავინ არ უნდა მიაქციოს.

**ნუმეია.** აქ ყოველ დღე ხდებიან ავათ შავი ჭირით.

**ლონდონი.** უელსის პრინცმა მიიღო წოდება იომენსის ჯარის საპატიო შეფისა; ეს ჯარი ეხლა გროვდება სამხრეთ აფრიკაში წასასვლელად. პრინცმა 100 გირ. სტერლინგი შესწირა ამ ჯარს სახარჯოთ.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთ კუთხის მრავალ ადგილებიდგან იუწყებიან, რომ თაგვებმა ძლიერ გააფუჭეს დათესილი მიდვრებიო. შემოდგომაზედ გაჩნდნენ თაგვები და დიდი ზიანი მიაყენეს დათესილ პურებს. ბევრ მემამულეს ეშინიათ,—ძლიერ არ გამრავლდნენ თაგვები გაზაფხულზედო, და ამის გამო სთხოვს კიევის სამიწადმოქმედო სინდიკატსა და ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს,—ღონისძიება-რამ აღმოგვიჩინეთ თაგვების წინააღმდეგო.

**ვენა.** დღეს დილით მოვიდა აქ სერბიის მეფე ალექსანდრე და რკინის გზის სადგურში გულწრფელად მიესალმა მას იმპერატორი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგებისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე